საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თემურ გოგოხია</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 23.07.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად წარდგენილ იქნეს გენადი მაკარიძე?
დიახ არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თემურ გოგოხია

23 ივლისი, 2021 წელი ქ. თბილისი

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის №1/138 გადაწყვეტილებით დაწყებული პროცედურის ფარგლებში, 2021 წლის 23 ივლისს ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად, მივიღე გადაწყვეტილება - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარედგინოს კანდიდატი გენადი მაკარიძე.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ აღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთებას.

დანართი: დასაბუთება - ,,2" ფურცლად

პატივისცემით,

თემურ გოგოხია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
თემურ გოგოხია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის გენადი მაკარიძის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის 1/138 განკარგულებით დაიწყო საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო გენადი მაკარიძემ.

2021 წლის 9 ივლისს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და ჩატარებული საჯარო გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატი, მათ შორის კანდიდატი გენადი მაკარიძე და მივიჩნიე, რომ აღნიშნული კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მერვე პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლით შეფასებისას, თითოეული მახასიათებლის გათვალისწინებით კანდიდატს მივანიჭე 93 ქულა (რაც 93%-ს შეადგენს).

ამასთან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კანდიდატი გენადი მაკარიძე კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, არა მხოლოდ მე შევაფასე სრულად დადებითად და უმაღლესი ქულებით, არამედ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც. ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ კანდიდატი გენადი მაკარიძე სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც 2021 წლის 23

ივლისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე კანდიდატი გენადი მაკარიძის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

თემურ გოგოხია

23.07.2021 წელი